პროექტი

## საქართველოს კანონი

## „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1996 წელი - №19-20) $20^2$-ე მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს დამატება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი $20^2$

1. პასპორტის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, 2 ფოტოსურათს, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს და შესაბამის განცხადება-ანკეტას, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას - 2 ფოტოსურათს, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს და შესაბამის განცხადება-ანკეტას.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი